საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №68/ნ
2018 წლის 11 მაისი

ქ. თბილისი

„საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დასრულებისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის №84/ნ ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„საჯარო სკოლებში სასწავლო წლის დასრულებისა და არდადეგების დაწყებისა და დასრულების თარიღების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 3 სექტემბრის №84/ნ ბრძანებაში (სსმ, 114, 09/09/2010) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანების 6^1 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 6^2 პუნქტი:

„6^2. 2017 – 2018 სასწავლო წელს საჯარო სკოლებში მე-11 კლასელებისათვის სასწავლო წელი დასრულდეს 2018 წლის 11 ივნისს.“.

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი — **მიხეილ ჩხენკელი**